SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

# VENETOCLAX - VENCLYXTO®

## რა არის VENCLYXTO

| მოლეკულის აღწერა | აღწერა |
|---|---|
| ვენეტოკლაქსი | 10 მგ ტაბლეტი: მრგვალი, ღია ყვითელი<br>50 მგ ტაბლეტი: ოვალური, ბეჟი<br>100 მგ ტაბლეტი: ოვალური, ღია ყვითელი.<br> |

## როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ ..... მგ-იანი ..... ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ყოველდღე.

**მკურნალობის დაწყება დოზის გაზრდით** ..... კვირის განმავლობაში ( ..... მგ-დან …….. მგ-მდე, გაორმაგებით ყოველ კვირას).

>კვირა 1 ..... მგ/დღეში
>კვირა 2 ..... მგ/დღეში
>კვირა 3 ..... მგ/დღეში
>კვირა 4 ..... მგ/დღეში
> მე- 5 კვირიდან ..... მგ/დღეში.

ტიტრაციის ფაზის დროს, **დღეში დალიეთ 1,5-დან 2 ლიტრამდე წყალი.**

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, დაღეჭვის ან გატეხვის გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას.

დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

## დოზირება - მიღების წესი

| | |
|---|---|
| ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას | |
| უწყვეტლივ | |

## როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

## სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, თირკმლის ფუნქციას და ბიოქიმიურ



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ანალიზს).

კონტრაცეფცია ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
VENCLYXTO® -ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას (Hypericum perforatum), სალბის, კურკუმას, პიტნის, პასიფლორას, კუნელის ყველა ფორმით (კაფსულები, ფისი, მცენარეული ჩაი, წვეთები და ა.შ.), ასევე გრეიფრუტის (წვენი, რბილობი), მწარე ფორთოხლის ან ვარსკვლავისებრი ხილის მიღებას.

## რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

**ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.**

| **გვერდითი მოვლენები** | |
|---|---|
| ყველაზე ხშირი | **საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები:** გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის შეკრულობა, მუცლის ტკივილი<br>**დაღლილობა**<br>**საშარდე გზების პრობლემები:** საშარდე გზების ინფექციები, მუქი შარდი, კრეატინინის მომატება<br>**ფილტვების დაავადებები:** ინფექციები<br>**ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები:** ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჯრედების (ნეიტროპენია) შემცირება.<br>**სიმსივნის ლიზისის სინდრომი:** კალიუმის, ფოსფორის და შარდოვანას მომატებული დონე (ჰიპერკალიემია, ჰიპერფოსფატემია, ჰიპერურიკემია). დაბალი კალციუმი (ჰიპოკალციემია) |
| ზოგიერთი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს | პაციენტები, რომლებიც იღებენ K ვიტამინის ანტაგონისტებს (რეკომენდებულია INR-ის მკაცრი მონიტორინგი) |
| **როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?** | |
| გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები | **საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები:**<br>მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში<br>ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა<br>პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას<br>ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში<br>24 საათის განმავლობაში დალევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა.<br>კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა<br>**ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები**<br>ტემპერატურა > 38.5°C<br>ხველა, სუნთქვის გაძნელება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად<br>**ალერგიის მიმანიშნებელი სიმპტომები**<br>ქავილი გამონაყართან ერთად<br>სახის, ტუჩების, ენის და/ან ყელის შეშუპება, რაც იწვევს ყლაპვის ან სუნთქვის გაძნელებას<br>**სიმსივნის ლიზისის სინდრომის მიმანიშნებელი სიმპტომები**<br>შარდის შეფერილობა,<br>გამოყოფილი შარდის რაოდენობის შემცირება<br>ტკივილი ერთ მხარეს ნეკნების ქვეშ |
| **როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?** | |



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

| | |
|---|---|
| ინფექცია | **მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ. |
| უშვილობა | **მკურნალობის დაწყებამდე** მიმართეთ ექიმს სპერმის შენარჩუნების მეთოდების შესახებ. |
| კუჭის შეკრულობა | *კიჭ-ნაწლავის ტრანზიტის სტიმულირებისთვის*, **დაკავდით** ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობით: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. |
| დაღლილობა | **ამჯობინეთ** ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ.<br>**ჩაანაცვლეთ** აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით. |
| კანის მოვლა | *მზისგან თავის დასაცავად* **გამოიყენეთ** მზისგან დამცავი კრემი და **მოერიდეთ** მზის სხივების ზემოქმედებას. |
| კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების მანიპულაცია | **მოერიდეთ** ტაბლეტების კონტაქტს კანთან. **ატარეთ** ხელთათმანები და<br>**დაიბანეთ** ხელები მანიპულაციის შემდეგ |
| **როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?** | |
| დიარეა | **უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, **მიირთვათ** სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **მოერიდეთ** უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს.<br>დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით, დღეში 2 ლიტრი |
| გულის რევის შეგრძნება | **უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი.<br>**შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები. |
| კუჭის შეკრულობა | **უპირატესობა მიანიჭეთ** ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით. |



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის